საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – თ. ტ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.08.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №102/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. გ.-ს მიმართ /სიითი № /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. გ.-ს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 01 აგვისტოს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა თ. ტ. ადვოკატ ნ. გ.-ს წინააღმდეგ. 2018 წლის 27 სექტემბერს, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორი დაეთანხმა მის მიერ საჩივარში მითითებულ გარემოებებს.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2018 წლის 25 იანვარს სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა, ნ. გ. წერილობითი თანხმობა განაცხადა თ. ტ.-ს მიერ მისთვის გადახდილი ჰონორარის ნაწილის, 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარის დაბრუნებაზე. თუმცა აღნიშნული ვალდებულება არ შეუსრულებია. საჩივრის ავტორი განცხადებაში ასევე აღნიშნავს, რომ მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს, სადაც განუმარტეს, რომ ნ. გ. წარადგინა ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ. საჩვრის ავტროსი განმარტებით, ეს ცნობა ადვოკატს არ წარმოუდგენია სასამართლოში მიმდინარე პროცესის დროს.

1.3 საჩივრის ავტორი განცხადებაში უთითებს, რომ ადვოკატი ნ. გ. ვერ ხვდება ვალდებულების შესრულების აუცილებლობას, რის გამოც თ. ტ. ითხოვს ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებასა და ადვოკატის ლიცენზიის შეჩერებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

ეთიკის კომისიის აპარატი ადვოკატ ნ. გ.-ს არაერთი მცდელობის მიუხედავად ვერ დაუკავშირდა ადვოკატთა ერთიან სიაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე: 5XX XX XX XX. 2018 წლის 08 აგვისტოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატს გაეგზავნა თ. ტ.-ს მიერ წარმოდგენილი საჩივარი, ადვოკატთა ერთიან სიაში მითითებულ ელექტრონულ მისამართსა და საცხოვრებელ მისამართზე. მისამართის ცვლილების გამო ფოსტის საშუალებით ადვოკატს გზავნილი არ ჩაბარდა, ხოლო ელექტრონულად გაგზავნილი საჩივრის მიღება ადვოკატმა არ დაადასტურა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 თ. ტ. ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 01 აგვისტოს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

3.4 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ,,შეტყობინება ადვოკატს ბარდება განმცხადებლის მიერ მითითებულ მისამართზე. თუ ამ მისამართზე ადვოკატთან დაკავშირება შეუძლებელია, შეტყობინება იგზავნება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ მონაცემებში არსებულ ადვოკატის მისამართზე. ამ შემთხვევაში შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად, თუნდაც ადვოკატი აღარ იმყოფებოდეს ამ მისამართზე ან მან უარი განაცხადოს შეტყობინების ჩაბარებაზე." ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 2^1 პუნქტის მიხედვით, ადვოკატი ვალდებულია მისი მონაცემების ცვლილების შესახებ მისი წარმოშობიდან 2 კვირის ვადაში აცნობოს ადვოკატთა ასოციაციას. შესაბამისად, ადვოკატი მის მიერ წარმოდგენილი მონაცემების სისწორეზე თავად არის პასუხისმგებელი. საპროცესო კოლეგია ადვოკატთან დაკავშირებას შეეცადა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში არსებულ ადვოკატთა ერთიან სიაში დაცულ მონაცემებზე - ტელეფონის ნომერზე, მისამართსა და ელექტრონულ ფოსტაზე. ადვოკატთან დაკავშირება ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ ტელეფონის ნომერი მუდმივად გამორთულია ქსელიდან, ხოლო მისამართზე საფოსტო გზავნილები არ ბარდება მისამართის ცვლილების გამო. შესაბამისად, საჩივარი ადვოკატისთვის ჩაბარებულად ითვლება და ეთიკის

კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თ. ტ.-ს საჩივარზე ადვოკატ ნ. გ.-ს პოზიციის შესახებ ინფორმაციის არქონის მიუხედავად.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. გ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა, ნ. გ. სასამართლოში გამოხატული თანხმობის მიუხედავად, არ შეასრულა დამტკიცებული მორიგების პირობები - თ. ტ.-ს ჰონორარის ნაწილის 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარის დაბრუნების თაობაზე.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. გ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

5.3 ადვოკატის ერთ-ერთ ვალდებულებაა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად შეასრულოს კლიენტის მიმართ აღებული ვალდებულებები, რაც გულისხმობს კლიენტის ინტერესების გათვალისწინებას და დაცვას. ადვოკატის მიერ კლიენტის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურება ითვალისწინებს ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებას, რისთვის კლიენტისგან შეუძლია მიიღოს გაწეული მომსახურების შესაბამისი ჰონორარი. ხოლო, ადვოკატის მიერ მოვალეობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში ადვოკატი ვალდებულია კლიენტს დაუბრუნოს საადვოკატო ჰონორარის ნაწილი, გაწეული მომსახურების და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით.

5.4 ევროსაბჭოს მინისტრთა კაბინეტის რეკომენდაციის III პრინციპის მიხედვით, „მოვალეობები კლიენტების მიმართ უნდა მოიცავდეს სამართლებრივი ქმედების განხორციელებას მათი კლიენტების უფლებებისა და ინტერესების დაცვის, პატივისცემისა და რეალიზაციის მიზნით“. ადვოკატი ვალდებულია პასუხისმგებლობით განახორციელოს კლიენტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები და კლიენტის უფლებებს პატივისცემით მოეპყროს, აღნიშნული ხელს შეუწყობს საადვოკატო პროფესიაში კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტის დანერგვას.

5.5 საჩივრის ავტორის მოთხოვნის მიხედვით, ადვოკატმა არ შეასრულა ვალდებულება - კლიენტს არ დაუბრუნა მისგან მიღებული ჰონორარი, რის თაობაზეც თ. ტ. წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 25 იანვრის ამონაწერი სასამართლოს

მთავარი სხდომის ოქმიდან, რომლის მიხედვით: მოსარჩელე თ. ტ. და მოპასუხე ნ. გ. საქმეზე 2/8336-17, მორიგდნენ შემდეგ პირობებზე, რომ მოპასუხე მოსარჩელეს 2018 წლის 26 მარტს გადასცემდა 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარს, რითაც მათ შორის არსებული სამართლებრივი დავა შეწყდება.

5.6 განსახილველ შემთხვევაში დისციპლინურ საქმეში მონაწილე მხარეებს შორის არსებული დავა გამომდინარეობს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან, კერძოდ თ. ტ.-ს მოთხოვნა ნ. გ.-ს ჰონორარის სახით გადახდილი თანხის დაკისრებაში მდგომარეობს, რაც სასამართლოს მიერ უკვე იქნა განხილული და აღნიშნული დავა მხარეთა შეთანხმებით დასრულდა. საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიერ მოვალეობების კეთილსინდისიერად შეუსრულებლობაში მდგომარეობს, ვინაიდან ადვოკატმა არ შეასრულა მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულება.

5.7 აღსანიშნავია, რომ ეთიკის კომისიისთვის სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს აქვს პრეიდიციული ხასიათი, შესაბამისად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 25 იანვარს მიღებულ განჩინებას, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული, აქვს პრეიდიციული ძალა და საპროცესო კოლეგია იზიარებს განჩინებით დადგენილ ფაქტებს. სასამართლო განჩინების მიხედვით, ადვოკატმა აღიარა კლიენტის მიმართ არსებული ვალდებულება, რომლის შესრულებაზე თანხმობა მორიგების აქტზე ხელმოწერით გამოხატა. ის ფაქტი, რომ კლიენტის სასარგებლოდ განჩინების აღსრულება ვერ მოხდა ადვოკატის გადახდისუუნარობიდან გამომდინარე, არ გულისხმობს ადვოკატის არაკეთილსინდისიერ და არაკვალიფიციურ მოქმედებას, ვინაიდან ადვოკატი აღიარებს კლიენტის წინაშე ვალდებულების არსებობას, რომლის აღსრულების უზრუნველყოფას ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიურო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

5.8 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ადვოკატთა შესახებ კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევას, შესაბამისად ადვოკატ ნ. გ.-ს მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.9 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა, ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე–4 მუხლის მე–6 პუნქტით, მე–19 მუხლით, 27–ე მუხლით, 28–ე მუხლით, 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №102/18 ადვოკატ ნ. გ.-ს მიმართ, /სიითი №./, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/